საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 7

ქ.თბილისი 22.07.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში- თავმჯდომარე);
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ-კავშირ განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

თამარ გაიხარაშვილი;
ხათუნა საგანელიძე;
ჯამლეტ ჯანჯღავა;
ნანა შონია;
თამარ ტუფინაშვილი;
სოფიო უჩანეიშვილი;
ირაკლი მაჩაბელი;
მანანა ხაჩიძე;
ნატო გენგიური;

ნინო ღაღანიძე;
ციური დურული;
მაია მარგველაშვილი;
ირმა გრძელიძე;
მაია მადუაშვილი;
გოჩა თუთბერიძე;
ვასილ კიკუტაძე;
გიორგი გვალია;
არჩილ აბაშიძე.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ჯემალ ძაგანია;
მანანა მნათობიშვილი;
მამია ტუღუში;
ტრისტან გულბანი;
ლადო ბოჟაძე;
მურად გარუჩავა;
გიორგი ფარულავა;
ირაკლი გარუჩავა.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ჯონი აფაქიძე;
მარინე ხუბუა;
დავით ჯალაღონია;
ილია გოროზია;
ვლადიმერ კირცხალია;
გულუა ნანა;
გალდავა რომეო.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნუგზარ სხირტლაძე;
ნინო კალანდაძე;
ირმა კუხიანიძე;
თემურ ხუციშვილი;
მანანა ვასაძე;
ბუბა ლეჟავა;
ნინო ანჯაფარიძე;
დიმიტრი ბაბულია.

შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლელა თვარაძე;

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალის“ წარმომადგენლები:

მზია ქათამაძე;
ხათუნა ამაღლობელი.

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

გულნაზი გალდავა;
მოგელი შენგელია;
ნინო ბერძენიშვილი;
დევი ხვედელიანი;
მურთაზ კვირკვაია.

სხდომა დაიწყო 15:21 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ სხდომას წარუდგინა დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწრვთნელი) რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკურიმედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკურიმედიცინისა და რეაბილიტაციის რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მასწავლებელი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

13. შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

14. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალის" საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

15. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობა და პოლიტიკის სამაგისტრო (ქართულ-გერმანული ერთობლივი)პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით ან აცილება დღის წესრიგში განსახილველ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის განხილვას ვერ დაესწრებოდა ექსპერტი ნინო ელბაქიძე და ითხოვა, რომ საკითხი გადადებულიყო შემდეგი სხდომისათვის. ასევე მე-13 საკითხით გათვალისწინებული პროგრამის განხილვა არ მომხდარიყო რადგან დაწესებულებამ მოითხოვა პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

შესაბამისად დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწრვთნელი) რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკურიმედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკურიმედიცინისა და რეაბილიტაციის რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალის" საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

13. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობა და პოლიტიკის სამაგისტრო (ქართულ-გერმანული ერთობლივი)პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
განათლების საფეხური:	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სპორტის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1112
კრედიტების რაოდენობა:	240

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
განათლების საფეხური :	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სპორტის ბაკალავრი
სწავლების ენა :	რუსული
კვალიფიკაციის კოდი:	1112
კრედიტების რაოდენობა:	240

3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკურიმედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური :	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
სწავლების ენა :	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0906
კრედიტების რაოდენობა:	240

4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკურიმედიცინისა და რეაბილიტაციის რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური :	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
სწავლების ენა :	რუსული
კვალიფიკაციის კოდი:	0906
კრედიტების რაოდენობა:	240

რეკომენდაციები აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თამარ გაიხარაშვილმა და ხათუნა საგანელიძემ. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) ქართულენოვანი და რუსულენოვანი პროგრამები იყი იდენტური შესაბამისად რეკომენდაციებიც იყო იდენტური, საერთო რეკომენდაციებიდან ერთი იყო რომ სასურველი იქნებოდა რუსულის ცოდნა მითითებული ყოფილიყო წინაპირობად და მითითებული ყოფილიყო შესაბამისი დონე და ასევე ქართული ენის სწავლის დონე ყოფილიყო შესაბამისი ვინაიდან აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს შემდეგ მოუწევდათ პრაქტიკის გავლა სხვა და სხვა დაწესებულებებში. უშუალოდ რეკომენდაციები კი გახლდათ შემდეგი:

- დასაკორექტირებელი იყო სასწავლო კურსების სილაბუსები, მაგ: ,,დოპინგი და სპორტი", ,,ზოგადი ფსიქოლოგია" სადაც სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსში (თემები) მითითებული საათები არ ემთხვეოდა კრედიტით დაანგარიშებულ საათებს.
- სასწავლო კურსის ,,პირველადი დახმარება ტრავმული დაზიანების დროს" დასაკორექტირებელი იყო სწავლის შედეგებში ცოდნა/გაცნობიერების და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციები, ვინაიდან მოცემული შინაარსი აღემატებოდა და არ წარმოადგენდა მწვრთნელის კომპეტენციას, ასევე ,,ბიოქიმიის" სილაბუსში ჩამოსაყალიბებლი იყო სწავლის შედეგებში კომეპეტენცია ,,ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი".
- სასურველი იქნებოდა რიგ სილაბუსებში ,,მოძრავი თამაშები", ,,კალათბურთი" და სხვა სპეციალიზაციის სასწავლო კურსებში შეფასების პრაქტიკულ კომპონენტში ,,ვარჯიშების პრაქტიკული შესრულება" ჩაიშლილიყო 5 ქულიან შეფასებად, რათა სტუდენტისათვის გასაგები ყოფილიყო თუ როდის ენიჭებოდა მას 5 ქულა. ,,ბიოქიმიის" სილაბუსსში დაკონკრეტებული უნდა ყოფილიყო პრაქტიკული უნარჩვევების 10 ქულიანი შეფასების კრიტერიუმები და დაკორექტირებულიყო საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა.

- რეკომენდირებული იყო ბიბლიოთეკის თანამედროვე სახელმძღვანელოებით გამდიდრება.

ექსპერტმა განაცხადა რომ მიუხედავად აღნიშნული რეკომენდაციებისა ოთხივე პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტს და სერიოზული ხარვეზები არ იქნა დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი თითქმის ყველა რეკომენდაცია მხოლოდ ერთის გარდა რომელიც ეხებოდა რეგულაციურ მედიცინას და რეაბილიტაციას გახლდათ სამაგისტრო პროგრამებში წარმოდგენილი ამიტომ ვერ მოხდა მათი ასახვა საბაკალავრო საფეხურზე ვინაიდან შემდგომი ორი წელი რომელიც დაეთმობოდა სამაგისტროს სწორად იქ შეისწავლიდა სტუდენტი მითითებულ კურსებს. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას ვინაიდან 2007 წელს დაწესებულება დაიშალა მათი ბიბლიოთეკა გადავიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საცავებში ხოლო როდესაც მოხდა მათი უკან გადმოტანა 80% წიგნების დარჩა დაუმუშავებელი და ვინაიდან 2013 2014 წლებში დაწესებულება არ არსებობდა შესაბამისად მათ ვერ ექნებოდათ გარკვეული წიგნები ხოლო ამ ეტაპზე ისინი ცდილობდნენ მოეხდინათ თანამედროვე ლიტერატურის შეძენა. ასევე გაკეთებულ იქნა მრავალი სახელმძღვანელო და გზამკვლევი დაახლოებით 30-მდე თავად აკადემიური პერსონალის მიერ. დაწესებულება ასევე გაწევრიანებულია საერთაშორისო ქსელში, გაფორმებული აქვთ მემორანდუმი კიოლნის, ბარსელონას უნივერსიტეტთან საიდანაც ასევე ღებულობენ თანამედროვე ლიტერატურას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ყავდათ, რა ბაზებს ფლობდა დაწესებულება და იყო თუ არა მოთხოვნა სკოლების მხრიდან მათ კურსდამთავრებულებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას ყავდა 80 სტუდენტი. მან ასევე აღნიშნა რომ სტუდენტების მიღებამდე ბარდებოდა შიდა ტურის გამოცდა სპორტულ ნორმატივებში 100 ქულიანი შეფასების 30 ქულას ვინც გადალახავდა შემდეგ გავიდოდა ეროვნულ გამოცდაზე. ასევე სასწავლებელს დაუბრუნდა ტერიტორიები რომელზეც განთავსებული იყო კრივის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის მოედნები და დარბაზები, გაფორმებული ქონდათ მემორანდუმი სპორტულ კომპლექს ,,არენასთან" სადაც ხორციელდებოდა აკადემიური მეცადინეობები ცურვაში და ასევე ფლობდნენ ხელშეკრულებებს სარეაბილიტაციო ცენტრებთან.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები უნდა ჩატარებულიყო წესით კვირაში ორჯერ თუმცა აღნიშნული თითქმის არ ხორციელდებოდა ამ ეტაპზე და მთელი კვირის მანძილზე კვირაში ერთი ან ორი საათი თუ ეთმობოდა ფიზკულტურას. ასევე წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ჩატარებული იქნა კვლევა რომ სკოლებს ჭირდებოდათ 4500 მასწავლებელი საიდანაც 3000-ზე მეტს არ ქონდა სპეციალური განათლება, 800 საერთოდ არ ქონდა უმაღლესი განათლება ხოლო ბევრი გახლდათ ასაკოვანი. დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამა განსახილველად და იმ შემთხვევაში თუ იგი გაივლიდა აკრედიტაციას დაწესებულება ეცდებოდა განათლების სამინისტროსთან ერთად ვინაოდან პირველ რიგში მათ დასჭირდებოდათ აღნიშნული მასწავლებლები ეზრუნათ რომ როგორს სხვა რეგულირებადი პროგრამები აღნიშნული კურსიც ყოფილიყო სახელმწიფო

დაფინანსებაზე მიბმული.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა რამდენი წელი იყო რაც ფუნქციონირებდნენ და ილიას უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებს რა ბედი ეწეოდათ.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ სულ 2 წელი იყო რაც ფუნქციონირებდნენ, ხოლო ილიას უნივერსიტეტში არსებული პროგრამები გახლდათ მილევად რეჟიმში და დარჩენილი იყო ერთი წელიწადი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებულ პროგრამასთან თუ ქონდათ კავშირი.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ როდესაც უნივერსიტეტი იშლებოდა რეაბილიტაციის მიმართულებით სწავლობდა 500 სტუდენტი საიდანაც 120 იყო თურქეთის მოქალაქე და აღნიშნული სტუდენტები მთლიანად წაიყვანა სამედიცინო უნივერსიტეტმა რომელსაც იმ პერიოდში არ ქონდათ აღნიშნული პროგრამა და მათი პროგრამით გააგრძელეს სწავლა ხოლო ამ ეტაპზე მათი პროგრამა თითქმია 90% იყო თანხვედრაში მათ პროგრამასთან თუმცა მათი პროგრამა ივსებოდა სხვა სპორტული პროგრამებით.

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	02

რეკომენდაციები აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარადგინა ჯამლეტ ჯანჯღავამ, რომელმაც განაცხადა რომ ვიზიტის მიმდინარეობის დროს შეხვდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როგორც საუნივერსიტეტო ასევე საფაკულტეტო პროგრამების და მოდულის ხელმძღვანელებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს, პრაქტიკის ხელმძღვანელებს, მიოხდა ბიბლიოთეკის გადამოწმება. ასევე ექსპერტმა განაცხადა რომ პროგრამაში არსებული სამი სასწავლო კურსი საბუღალტრო აღრიცხვა, გადასახადები და აუდიტი დარჩა ისეთი შთაბეჭდილება ვინაიდან ეს საგნები ისწავლებოდა ბაკალავრიატში, ხომ არ იყო საგნები ბაკალავრიატის ანალოგი. აღმოჩნდა რომ ორი კურსი საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი სავსებით აკმაყოფილებდნენ არსებულ პროგრამას თუმცა მესამე კურსი გადასახადები იდენტური იყო ბაკალავრიატის კურსისა (საგადასახადო საქმე) მხოლოდ თემატიკით. ამის შემდგომ მოხდა შეხვედრა ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მათ აღნიშნეს რომ ადგილი ქონდა გაუგებრობას და შეცდომით გადმოიგზავნა საბაკალავრო პროგრამა. გაიმარტა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება და სასწავლო კურსი გასწორდა და ის დღევანდელი მდგომარეობით აკმაყოფილებდა სტანდარტს.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მდგომარეობდა შემდეგში:

- სასურველი იქნებოდა გაზრდილიყო არჩევითი კომპონენტების რაოდენობა სავალდებულო კურსების კრედიტების შემცირების ხარჯზე, სასწავლო კურსი ,,პროფესიული პრაქტიკა" გადასულიყო შესაბამისი მოდულების ბლოკში.
- სასურველი იქნებოდა პროგრამის არჩევით სასწავლო კურსად დამატებოდა ,,ბიზნეს ინგლისური", რაც გამოიკვეთა კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას. ასევე სასწავლო კურსებს ,,გადასახადებს", ,,საბუღალტრო აღრიცხვას", და ,,აუდიტს", რომლებიც შინაარსობრივად აკმაყოფილებდნენ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს შეცვლოდათ სახელწოდება.
- სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (05.01-2014) გათვალისწინებულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში (აქტიურობა 30 ქულა, შუალედური გამოცდა 30 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა) შესულიყო ცვლილება და აკადემიურ პერსონალს მიცემოდა ქულობრივი გრადაციის საშუალება. ამასთანავე სილაბუსებით გათვალისწინებული ,,საკითხის შეფასების მეთოდიკაში" ქულები ჩაშლილიყო ცალ-ცალკე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების დაკონკრეტებით.

- სასურველი იქნებოდა ძირითადი ლიტერატურის სია შემოფარგლულიყო ერთი ან ორი სახელმძღვანელოთი, ან ერთი ელექტრონული სალექციო კურსით.
- სასურველი იქნებოდა სტუდენტთა პრაქტიკის და კარიერის ცენტრს მეტი ყურადღება გაემახვილებინა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების დასაქმებაზე.
- სასურველი იქნებოდა უფრო მეტი სასწავლო აუდიტორიები აღწურვილი ყოფილიყო თანამედროვე ელექტრონული სადემონსტრაციო საშუალებებით ლექციის დემონსტრირების მეთოდებით ჩატარებისა და სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებების პრეზენტაციის მიზნით.
- მიზანშეწონილი იქნებოდა უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულიყო ,,ტუტორიალის ინსტიტუტი", რომელიც დაკომპლექტდებოდა მაგისტრანტებისა და ბაკალავრიატის მაღალი კურსის სტუდენტებისაგან, რათა დანარჩენ სტუდენტებს მიეღოთ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ყველა სილაბუსი რომელიც ეხებოდა გადასახადებს, საბუღალტრო აღრიცხვას და აუდიტს წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელების მიერ სამუშაო ვარიანტის სახით სავსებით პასუხობდა არსებულ სტანდარტებს. საბუღალტრო აღრიცხვას რაც შეეხებოდა საბაკალვრო საფეხურზე ისწავლებოდა საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები ხოლო მაგისტრატურაში წარმოდგენილი იყო ბუღალტრული აღრიცხვა ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირება მოითხოვდა ინფორმაციას გადაწყვეტილების მისაღებად, ბუღალტრული აღრიცხვა მთელ მსოფლიოში აღიარებული როგორც ბიზნესის ენა მოიცავდა როგორც საფუძვლებს ასევე თეორიას, ფინანსურ აღირიცხვას და გადასახადებს. მოცემული სამაგისტრო პროგრამა აგებული იყო შემდეგი პრინციპით იგი მოიცავდა სავალდებულო საგნებს პირველ სემესტრში ხოლო მეორე სემესტრში იგი იშლებოდა მოდულებად რაც საბოლოო ჯამში სტუდენტს მისცემდა შესაბამის კომპეტენციებს ბიზნესის სფეროში. რაც შეეხებოდა პროფესიულ პრაქტიკას, იგი გახლდათ წარმოდგენილი სავალდებულო საგნის სახით ოთხივე მოდულისათვის თუმცა არ იყო პრობლემა რეკომენდაციის გათვალისწინება და მისი გადატანა მოდულებად.

რაც შეეხებოდა ბიზნესინგლისურს წინაპირობაში ჩადებული გახლდათ ინგლისური ენის ცოდნა b2 დონეზე. წარმოდგენილი ქონდათ სილაბუსები ინგლისურ და ქართულ ენაზე და სტუდენტი თავად აირჩევდა სასურველ ენას. შეფასების სისტემა გახლდათ უნიფიცირებული თუმცა განათლების სამინისტროდან ისინი ელოდნენ წერილს შეფასების სიტემის თაობაზე და როგორც კი გაეცნობოდნენ მას მოხდებოდა მითითებების გათვალისწინება. ტუტორიალის ინსტიტუტთან დაკავშირებით სამაგისტრო პროგრამა ისე იყო აწყობილი რომ მოდულს ყავდა ხელმძღვანელები რომლებიც გასცემდნენ ყველა ინფორმაციას და ასევე პროგრამის ხელმძღვანელი,ხარისხის სამსახური, მზად იყვნენ გაეცათ ნებისმიერი ინფორმაცია რომელსაც მოითხოვდა სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ყავდა პროგრამას.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ სამაგისტრო პროგრამა რომელიც მუშაობდა არააკრედიტებულ რეჟიმში ყავდათ ორი რომელშიც ერთად სწავლობდა 45 სტუდენტი.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა სტუდენტების დასაქმების საკითხით.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ თითქმის ყველა იყო დასაქმებული ბუღალტრებად და

აუდიტორებად.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ მოითხოვა წარმომადგენლებისაგან დაეზუსტებინათ რეკომენდაცია ლიტერატურასთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაემთხვა გამოცდების პერიოდს და გატანილი იყო რამოდენიმე წიგნი თუმცა რაოდენობა გახლდათ სრულიად საკმარისი წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტები ვერ ჩააბარებდნენ გამოცდებს და ასევე ყოველი წლის ბიუჯეტი დაწესებულბას აძლევდა იმის საშუალებას მოეხდინათ ლიტერატურის განახლება ახალი ლიტერატურით მხოლოდ ის წიგნი და სახელმძღვანელო როემლიც რთულად იშოვებოდა შეიძლებოდა გატანილი ყოფილიყო გამოცდისათვის.

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	მიკრობიოლოგია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	მიკრობიოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	050407

ექსპერტმა თამარ ტუფინაშვილმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა მიკრობიოლოგიის სამაგისტრო პროგრამით დაგეგმილ საწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, რადგან პროგრამის მიზნები დეტალურად იყო გაწერილი და სრულად ასახავდა პროგრამის შინაარს, მაშინ როდესაც სწავლის შედეგები გახლდათ ზოგადი ხასიათის.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 120/ნ ბრძანების (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ) თანახმად, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სწავლის შედეგები, კერძოდ კომუნიკაციის უნარი გულისხმობდა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით: უცხო ენები არ უნდა წარმოადგენდნენ არჩევით სასწავლო კურსებს ან სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურაში უნდა ყოფილიყო მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა (შესაბამისი უცხო ენის ფლობის დონის წინასწარ განსაზღვრის შემთხვევაში), ან პროგრამაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული უცხოენოვანი სასწავლო კურსი (სსაბამისი უცხო ენის ფლობის დონის წინასწარ განსაზღვრის შემთხვევაში).
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში გერმანული ან ფრანგული ენის b2 დონეზე ცოდნის მითითება იყო ალოგიკური რადგან : ა) პროგრამის შესწავლის პროცესში არ ხდებოდა უკვე არსებული ცოდნის სრულყოფა (არ იყო შეთავაზებული შესაბამისი სასწავლო კურსები, როგორც ეს ხდებოდა ინგლისური ან რუსული ენების შემთხვევაში). ბ) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში არ იყო მითითებული გერმანული ან ფრანგულენოვანი სავალდებულო სახელმძღვანელოები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა რომ გერმანული და ფრანგული ენა უნდა ყოფილიყო შეთავაზებული როგორც სავალდებულო (ისევე როგორც ინგლისური, რუსული ენა) სასწავლო კურსი (მაგისტრანტის არჩევანით) წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იყო რატომ ითხოვდნენ გერმანულ/ფრანგულ ენას პროგრამაზე მიღების წინაპირობად.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.
წარმომადგენელმა განაცხადა რომ უცხოენასთან დაკავშირებით პრაქტიკაში იყო

შემთხვევები როდესაც სტუდენტმა კარგად იცოდა გერმანულიან ფრანგული ენა მაგრამ იქედან გამომდინარე რომ არ იცოდა რუსული ან ინგლისური ვერ აბარებდა მაგისტრატურაში ამიტომ მათ არ შეზღუდეს ასეთი სტუდენტები და მათ შეეძლოთ ჩაებარებინათ ან გერმანული ან ფრანგული მაგრამ იმისათვის რომ მერე მას მოეხერხებინა სამეცნიერო სტატიების ან ლიტერატურის წაკითხვა მას აუცილებლად დასჭირდებოდა ინგლისური ენის ცოდნა. რაც შეეხებოდა ღირებულებებს ინტელექტუალურ საკუთრებასტან დაკავშირებით და ა.შ. მეცნიერების თვალსაზრისით ინტელექტუალურ საკუთრებასთან მოპყრობას, როდესაც მაგისტრანტი ასრულებს სამუსაოს და იყენებს ლიტერატურულ წყაროებს ისინი მუდმივად უნერგავენ სტუდენტებს რომ უნდა მოხდეს ავტორის მითითება ციტირების დროს და მიუთითოს მონაცემების ავტორი და ა.შ. რაც შეეხებოდა წინაპირობად b2 დონეს მისაღებ გამოცდაზე მითითებული გახლდათ აღნიშნული დონე და ასევე შეთავაზებული იყო ამ დონეზე უცხოენების შესწავლა რუსული და ინგლისური. აღნიშნული დონე სავსებიტ საკმარისი იყო იმისათვის რომ სტუდენტს შეეძლო წაეკითხა უცხოური ლიტერატურა, გაცნობოდა მასალას, დაეწერა სტატია და ა.შ.

შედეგები გახლდათ მოკრძალებული და არა ზოგადი ისეთი რომლის დაკმაყოფილებასაც შეძლებდა სტუდენტი. რაც შეეხებოდა სემინარებს ქონდათ უნიფიცირებული შეფასების კრიტერიუმები რომელიც სპეციალურად იქნა შემოღებული იმისათვის რომ შესაძლებელი ყოფილიყო პროგრამული უზრუნველყოფა მაგალითად ისეთ დონეზე როგორიც იყო ,,არგუსი" . პრაქტიკული საკითხები ავიტარებდნენ ერთი და იგივე კომპეტენციებს და ერთნაირად ხდებოდა მათი შეფასება სემინარების ან პრაქტიკულების ჩაბარების დროს.

შეფასების კრიტერიუმები გახლდათ იდენტური ეს იყო სპეციალური გადაწყვეტილება ამ პრნციპზე გახლდათ აგებული სილაბუსები, შუალედური და ფინალური გამოცდების ჩაშლის სახით. აღნიშნულიც გაკეთებული იყო უნიფიცირებულად და ეხებოდა ინგლისურ ენას როგორც არჩევით ასევე სავალდებულო საგანში, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებშიც.

პრაქტიკის შფასებებში მითითებული გახლდათ მინიმუმი და მაქსიმუმი. მემორანდუმი გახლდათ გაფორმებული ბაქტერიოფაგთან, ბოტანიკურ ბაღთან და ა.შ როდესაც იქ მივლინებული იქნებოდა მაგისტრანტი პრაქტიკის გეგმა ინდივიდუალური ექნებოდა თითოეულ სტუდენტს, აღნიშნული პრეროგატივა მიენიჭა პრაქტიკის ხელმძღვანელს შესაბამისად მას ეცოდინებოდა პარამეტრები მაქსიმალური და მინიმალური ძღვარით და თვითონ ჩაშლიდა შეფასებას თავისი მოსაზრებებიდან გამომდონარე.

პროგრამა გახლდათ ახალი, გაკეთდა ბაზრის კვლევა. დაწესებულებას დადებული ჰქონდა მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბაქტერიოფაგთან სადაც გაივლიდნენ სტუდენტები პრაქტიკას მოლეკულურ კვლევაში. მათი დასაქმება შემდგომში მოხდებოდა შესაბამის ლაბორატორიებში თუმცა ვერ მოხერხდებოდა მათი დასაქმება სამედიცინო დაწესებულებებში ვინაიდან მიკრობიოლოგიის კურსდამთავრებულების დიპლომი არ იძლეოდა აღნიშნულის საშუალებას.

7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	კონდენსირებული გარემოს ფიზიკა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფიზიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0502

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- კრედიტები გახლდათ დათვლილი არა სტუდენტების მიერ სასწავლად დახარჯული საათების მიხედვით, არამედ დამოუკიდებელ საათებს ითვლიდნენ გამომდინარე კრედიტებიდან. ამიტომ გამოდიოდა რომ ერთნაირი კრედიტების მქონე საგნებს ერთნაირი რაოდენობის დამოუკიდებელი საათები გამოსდიოდათ.
- ლოგიკური იქნებოდა მათემატიკური საგნების გადმოტანა პირველ სემესტრში, ხოლო ფიზიკური საგნების მეორე სემესტრში გადატანა. უმჯობესი იქნებოდა დარგობრივი ინგლისური ყოფილიყო უფრო მეტად ორიენტირებული დარგზე.
- ვინაიდან პროგრამაზე მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო სამი სტუდენტის მიღება უკეთესი იქნებოდა შემდგარიყო კოოპერირება რომელიმე სხვა უმაღლეს სასწავლებელთან პროგრამის განხორციელების მიზნით, რაც დაზოგავდა სახსრებს და უკეთესი იქნებოდა პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.
- აუცილებელი იყო ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების პროგრამის მიახლოება ფიზიკოსთა საჭიროებებისადმი.

ექსპერტმა განაცხადა რომ არ მიაჩნდა მიზანშეწონილად აკრედიტაციის მინიჭება იმ პროგრამისათვის რომელიც არ გახლდათ პრაქტიკაში განხორციელებული, ვინაიდან ტერმინი აკრედიტაცია შინაარსობრივად გულისხმობდა ნდობას, ასეთ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ერთი წლის შემდგომ მაინც მას შემდეგ რაც განხორციელდებოდა პროგრამა და უფრო თვალსაჩინოს გახდიდა არსებულ ხარვეზს თუ დადებით მხარეს. ექსპერტს ასევე მიაჩნდა რომ პროგრამა გახლდა წმინდა მათემატიკური შინაარსის და თუ მოხდებოდა პროგრამის მოდიფიცირება ფიზიკოსებისათვის იგი გახდებოდა მეტად მიმზიდველი და საინტერესო ფიზიკოსი სტუდენტებისათვის.სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.წარმომადგენელმა განაცხადა რომ სხვა დაწესებულებებში არ იყო ანალოგიური პროგრამა. ყველა რეკომენდაცია გახლდათ მისაღები დაწესებულებისათვის. პირველ სემესტრში ისწავლებოდა 5 საგანი. პროგრამაზე იყო გათვალისწინებული სამი სტუდენტი რომლებიც დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ სწავლის საქმეს. რაც შეეხებოდა რატომ კონდენსირებული იგი გულისხმობდა როგორც მყარ ასევე თხევად სხეულებს, თავად წარმომადგენელი გახლდათ სითხეების სპეციალისტი. დაწესებულებას ჰქონდა უახლესი აპარატურა, ასევე სტუდენტებს აფინანსებდა თავად დაწესებულება და ასეთი გზით ცდილობდნე ხელის შეწყობას ფიზიკის აღნიშნული დარგის განვითარებას. ასევე დაწესებულება თანამშრომლობდა მუშაობის სპეციფიკის ნაწილში სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	კომპიუტერებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინფორმატიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0401

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განაწილება წარმოდგენილი გახლდათ უმთავრესად დროითი (სემესტრული ბადის მიხედვით), სასწავლო კურსების უმრავლესობას არ გააჩნდა წინაპირობა რაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე წინაპირობების არსებობა მაგისტრანტს გაუადვილებდა სსწავლო პროცესის დაგეგმვას. ლოგიკური გახლდათ საგნის ,,კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ინფორმაციული უსაფრთხოება" წინაპირობა ყოფილიყო საგანი ,,ქსელები და ქსელური ტექნოლოგიები 1"; საგნის ,,მონაცემთა ბაზების შემუსავების ტექნოლოგიები" წინაპირობა ყოფილიყო საგანი ,,მონაცემტა ბაზები და სერვისები".
- რამოდენიმე საგნების სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ინგლისურენოვანი მასალის სახით, დამატებითი ლიტერატურა ასევე მოიცავდა რუსულენოვან მასალას. ვინაიდან პროგრამაზე მირების პირობას არ წარმოადგენდა უცხო ენის ცოდნა და პროგრამაში სტუდენტს უფლება ჰქონდა აერჩია სხვა და სხვა უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული),მაგისტრანტი ვერ შეძლებდა მათ გამოყენებას. დამატებით ლიტერატურაში უნდა მითითებულიყო სხვა ენოვანი ლიტერატურაც და დამატებოდა ქართულენოვანი ლექციები (როემლიც არსებობდა საგნის პედაგოგების მიერ შედგენილი).

1) ობიექტზე ორიენტირებული ენების შედარებითი ანალიზი
2) თანამედროვე სერვერული ოპერაციული სისტემები 1
3) თანამედროვე სერვერული ოპერაციული სისტემები 2
4) მობილურზე დაფუძნებული დაპროგრამება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.
წარმომადგენელმა განაცხადა რომ ეთანხმებოდნენ და გაითვალისწინებდნენ ყველა რეკომენდაციას.
სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რაზე იყო ფოკუსირებული პროგრამა ქსელებზე თუ მიმდინარეობდა ზოგადად ქსელების და მისი თეორიების სწავლება.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამა ორიენტირებული გახლდათ ნებისმიერ მომხმარებელზე როგორც პრაქტიკოსებისათვის ასევე თეორეტიკოსებისათვის, ისწავლებოდა პროგრამული უზრუნველყოფა და ასევე არსებობდა ბევრი არჩევითი კურსები იმ ტექნოლოგიებზე როემლსაც იყენებდა საბანკო სისტემა. მეოთხე კურსის სტუდენტების მიერ მომზადებულ იქნა თავიანთი შიდაელექტრონული სისტემა.

17:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდოამ განახლდა 17:20 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო განხილულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები.

- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწრვთნელი) რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით (1 წლის განმავლობაში) (მომხრე - 4, წინააღმდეგი - 1);
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სამაგისტრო პროგრამას მეინიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია. (მომხრე - 5, წინააღმდეგი -0).

9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ტურიზმის მენეჯმენტი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ფიზიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0502

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულიყო საუნივერსიტეტო გამოცდა ტურიზმში, რათა პრგრამას მაქსიმალურად უზრუნველეყო შესაბამისი ცოდნის, უნარებიდსა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა;
- პროგრამა ითვალისწინებდა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, სასურველი იქნებოდა ,,საწარმოო პრაქტიკის" სტუდენტებისათვის შეთავაზება, ,,სამეწარმეო პრაქტიკის" და ,,საველე პრაქტიკიდან" ერთ ერთის არჩევის ნაცვლად;
- პრაქტიკის წინაპირობად განსაზღვრული იყო 48 კრედიტის ან 8 სავალდებულო საგნის გავლა სასურველი იქნებოდა კურსზე დაშვების წინაპირობად მითითებული ყოფილიყო მხოლოდ ის რამოდენიმე კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსი, როემლთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელი იყო პრაქტიკაზე დაშვებისათვის.
- სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა პერიოდულად განახლებულიყო უახლესი ლიტერატურით, ქართული და უცხოური, ინგლისურენოვანი გამოცემებით, სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებითა და კველევის მასალებით.

ექსპერტმა ასევე დაამატა რომ არსებობდა წინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ვინაიდან პროგრამა ერხელ უკვე იყო წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოზე თუმცა ვერ გაიარა აკრედიტაცია, შენიშვნები დეტალურად იყო გამოსწორებული. მუშაობის პროცესში იყო ჩართულობა პროფესორების და დამსაქმებლების მხრიდან. ვინაიდან პროგრამა გახლდათ ახალი სტუდენტებთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. დაწესებულებას ქონდა ძალიან კარგი ბაზა, ასევე ბიბლიოთეკაში ლიტერატურა გადამოწმებულ იქნა გვერდების მიხედვით სილაბუსებიდან ამოკრეფილი ლიტერატურიდან.
სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.
წარმომადგენელმა განაცხადა რომ ყველა რეკომენდაცია გახლდათ მისაღები, სამი იქნა უკვე გათვალისწინებული და დამტკიცებული უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ. ლიტერატურის თვალსაზრისითაც უკვე დაგეგმილი გახლდათ ახალი ლიტერატურის შეძენა და შედგენილ იქნა სია დარგის სპეციალისტებთან ერთად. ასევე ტურიზმის გამოცდას რაც შეეხებოდა დაგეგმილი იქნა მისი ჩატარებაც რომელიც გაითვალისწინებდა 100 ქულიან შეფაებას და მასში შევიდოდა უცხო ენის გამოცდა ასევე 30% იქნებოდა ტურიზმის ზოგადი

საფუძვლების საკითხები. უნივერსიტეტს ასევე ჰქონდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სამაგისტრო პროგრამაზე ვარაუდობდნენ ასევე თავიანთი კურსდამთავრებულების მისვლასაც.

დასაქმებას რაც შეეხება გაფორმებული ქონდათ მემორანდუმები ტურისტულ სააგენტოებთან და სხვა ორგანიზეციებთან ასევე დიდი მოთხოვნა ფიქსირდებოდა საკურორტო ზონებიდან. რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს პროგრამას განახორციელებდნენ პროფესიონალი პრაქტიკოსები რომლებიც მოტივირებულნი იყვნენ საკუთარი ცოდნის გასაზიარებლად.

10. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ხელოვნების მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0801

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამა აერთიანებდა ორ სპეციალობას - კინორეჟისურა და კინოდრამატურგია, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა არჩეულიყო პროგრამის სტუდენტის მიერ. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ორივე სპეციალიზაცია შედიოდა აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში (0801), მაგრამ ცალ-ცალკე ქვედარგად იყო განსაზღვრული : კინოხელოვნება (080102) და დრამატურგია (080104). წარმოდგენილ პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრებოდა შემდეგი: ,,ხელოვნების მაგისტრი კინოხელოვნებაში". სასურველი იქნებოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციას დამატებოდა კვალიფიკაცია იმ სტუდენტებისათვისაც, რომლებიც აირჩევდნენ დრამატურგიას, რამდენადაც პროგრამის მიზნებიც, სტრუქტურაც, ბადეც და კურსებიც გულისხმობდა ორივე აღნიშნული სპეციალიზაციის არსებობას. რეკომენდაცია გათვალისიწნებულ იქნა ვიზიტის პერიოდში, პროგრამაში შევიდა ცვლილება კავკასიის უნივერსიტეტში არსებული წესის დაცვით, ბიზნესის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემული იყო ორივე შემოთავაზებული არჩევითი სპეციალობის - კინორეჟისურა და კინოდრამატურგია - საერთო შედეგები, ვინაიდან ორივე ვიწრო სპეციალობა ბევრ საერთო შედეგზე გადიოდა რეკომენდაცია იყო შედეგებში გამოკვეთილიყო ასევე თითოეული მიმართულების (სპეციალიზაციის) კონკრეტული შედეგებიც. რეკომენდაციები გაიზიარა უნივერსიტეტის მახარემ, ვიზიტის პერიოდში პროგრამაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები-მკაფიოდ გამოიყო თითოეული სპეციალობის კომპეტენციები. შედეგებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს მეორე რეკომენდაციაც: პროგრამის შედეგებში გაწერილი იყო სილაბუსებიდან ამოკრეფილი შედეგების მექანიკური ნაკრები. რეკომენდაცია იყო პროგრამაში მომხდარიყო შედეგების განზოგადება - გადააზრება კურსდამთავრებულის კომპეტენციის რეალური ჩვენებისათვის.
- პროგრამის სილაბუსებში მოცემული იყო შმოქმედებით-პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების კარგი ბალანსი. თუმცა ზოგიერთ სილაბუსთან დაკავშირებით იყო რეკომენდაციები: მაგ: სალექციო კურსების სილაბუსები ,,სარეჟისორო ოსტატობა 1", ,,სარეჟისორო ოსტატობა 2", ,,სარეჟისორო ოსტატობა 3", ,,სარეჟისორო ოსტატობა 4", მკაფიოდ არ ასახავდა თითოეულისგან მიღებულ კონკეტულ შედეგებს (ძირითადა იმეორებდა ზოგად ნაწილს), მაშინ როდესაც კვირებზე გაწერილი სალექციო

თემატიკა თითოეულ სილაბუსში განსხვავდებოდა. რეკომედაცია გახლდათ რომ სილაბუსის შედეგები მეტად ყოფილიყო დაკონკრეტებული და შესაბამისობაში მოყვანილი მის შინაარსთან. ასევე სასწავლო კურსის ,,სახვითი ხელოვნება" მოცულობა პროგრამაში განისაზღვრებოდა 1 კრედიტით. რაც მეტად მცირე დრო იყო ასათვისებელი მასალის დიდი მოცულობის გათვალისწინებით (სახვითი ხელოვნება უხსოვარი დროიდან თანამედროვეობამდე). რეკომენდირებული იყო კრედიტის გაზრდა. რეკომენდაციები ვიზიტის პერიოდშივე იქნა გათვალისწინებული.

- რეკომენდირებული იყო სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობების უკეთ ორგანიზების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში მოხდეს კონკრეტულად გაწერილი ხელშეკრულებების გაფორმება ,,აბკ სტუდიასთან" და სხვა ორგანიზაციებთან, რომელთა ბაზების გამოყენება იგეგემებოდა სასწავლო პროცესში. ხელშეკრულებებში დეტალურად იქნეს გააზრებული და დოკუმენტურად ასახული სტუდენტთა მიღების, მათთან ინდივიდუალური მუშაობისა და ტექნიკით სარგებლობის გრაფიკი და სხვა დეტალები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამაზე, იგეგემებოდა 30 სტუდენტის მიღება, გაფორმებული იყო მემორანდუმი კინოსტუდიასთან სადაც სტუდენტები გაივლიდნენ პრაქტიკულ სამუშაოებს, ასევე უნივერსიტეტს ჰქონდა მედია სკოლა სადაც ასევე განხორციელდებოდა პრაქტიკა, ვინაიდან აპარატურა და ტექნიკა გახლდათ საკამოდ ძვირადღირებული და იმ შემთხვევაში თუ პროგრამა ამოქმედდებოდა და იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი პირველი გამოშვების შემდგომ მოხდებოდა აპარტურის შეძენა. პროგრამაზე მუშაობის დაწყების წინ გაკეთდა მონიტორინგი თუ რა მოთხოვნები არსებობდა ქართულ კინოინდუსტრიაში, რა პრობლემები ფიქსირდებოდა და მხოლოდ მას შემდეგ დაიგეგმა პროგრამის შექმნა როდესაც დაინახეს პოტენციალი კინოს განვითარებაში. პროგრამაში გათვალსიწინებული იქნებოდა მწერლების ხელოვანების კინოექსპერტების მოწვევა რომელნიც გაუზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას სტუდენტებს.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა თუ აღზრდიდა პროგრამა კინოკრიტიკოსებს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ აუცილებლად იგეგემებოდა კინოკრიტიკოსების აღზრდა და შესაბამისად მოწვეულ იქნებოდნენ შესაბამისი სპეციალისტები. ასევე იგიგმებოდა სამომავლოდ სამსახიობო სკოლის გახსნაც.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა როგორ მიმდინარეობდა მუშაობა დამსაქმებელთან და შიდასაუნივერსიტეტო თანამშრომლობა როგორ ხორციელდებოდა, თუნდაც მედია სკოლასთან ტექნიკური ბაზის გარდა თუ გამოიყენებოდა მათი კურსის სტუდენტები.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ არსებობდა ისეთი საგნები რომლებიც შესწავლილ იქნებოდა ორივე ფაკულტეტზე მაგ: მონტაჟი, დოკუმენტური კინო და სხვა, ამიტომ აქედან გამომდინარე თავისუფლად შეიძლებოდა ამ ორი მიმართულების ოპტიმიზაცია. რაც შეეხებოდა თავად რეკოემნდაციებს დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ მათ და აუცილებლად მოხდებოდა მათი მხედველობაში მიღება და გათვალისწინება.

11. შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	100502

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჭირო იყო ჩატარებულიყო შრომის ბაზრის კვლევა და უზრუნველყოფილი ყოფილიყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში;
- სასურველი იყო აკადემიურ პერსონალს უკეთ ჰქონოდა გააზრებული თუ რატომ ენიჭებოდა კონკრეტულ საგანს 2,3,4 და მეტი კრედიტი;
- სასურველი იყო შეფასების კრიტერიუმები პრაქტიკული მეცადინეობისათვის ყოფილიყო მეტად დეტალიზებული;
- სასურველი იყო სემესტრულად ჩატარებულიყო გამოკითხვები იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ეფექტურად მოქმედებდა სტუდენტებზე უნივერსიტეტში არსებული დახმარების სერვისები და პროგრამაზე ჩარიცხული 6 სტუდენტი ჩართულიყო კურიკულუმისაგან დამოუკიდებელ აქტივობაში;
- სასურველი იყო საკონსულტაციო დღეებისა და საათების გაწერა მომხდარიყო თავად ლექტორის მიერ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით და სილაბუსებში მითითებული ყოფილიყო კონსულტაციის დღე და საათი;
- სასურველი იყო პროგრამის განხორციელება მეტწილად უზრინველყოფილი ყოფილიყო აკადემიური პერსონალით და სასწავლო კურსთა უმეტესობასაც ისინი წამღოლოდნენ.

ექსპერტმა განაცხადა რომ ვიზიტის მიმდინარეობისას მოხდა შეხვედრა მხოლოდ აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, სამწუხაროდ ვერ მოხერხდა შეხვედრა სტუდენტებთსნ. პროგრამა მუშაობდა ავტორიზებულ რეჟიმში და მათ ყავდათ მხოლოდ 6 სტუდენტი მათგან უმრავლესობა გახლდათ აზერბაიჯანული ეროვნების, მოტივაცია გახლდათ ძალიან დაბალი ისინი არ მონაწილეობდნენ ხარისხის შეფასების შიდა უზრუნველყოფაში და არ ავსებდნენ კითხვარებს. ვერ მოხერხდა შეხვედრა დამსაქმებლებთან, არ განხორციელებულა ბაზრის კვლევა. თავად პროგრამა გახლდათ შედგენილი ლოგიკურად, სასწავლო გეგმა გახლდათ ლოგიკური თუმცა პროგრამას უკვე ორჯერ უარი ეთქვა აკრედიტაციაზე შესაბამისად გათვალისწინებული იყო წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკოემნდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციები, თავად პროგრამა შემუშავებულ იქნა 2012 წელს და შერჩეული იქნა აკადემიური პერსონალიც. დღესდღეისობით მიმდინარეობდა მუშაობა წინაპირობების დახვეწასთან დაკავშირებით.

პროგრამა არ მუშაობდა სრული დატვირთვით ვინაიდან ყავდათ 6 მობილობით გადმოსული სტუდენტი. გათვალისწინებულ იქნა წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, ინტერნაციონალიზაციის კუთხით დადებულ იქნა ხელშეკრულებები ვარშავის უნივერსიტეტთან, ლონდონის ენების კოლეჯთან. რაც შეეხებოდა ხარისხს სექტემბერში ელოდებოდნენ პირველ ნაკადს ეროვნული გამოცდებით რის შემდეგაც პროგრამა სრული დატვირთვით ამუშავდება, ჩაერთვება პერსონალიც სრული დატვირთვით და ხარისხიც გაუმჯობესდებოდა.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ იკითხა თუ ჰქონდათ ინსტრუმენტი რომლითაც მიხერხდებოდა აკადემიური პერსონალის გამოკითხვა.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ შევსებული იყო მხოლოდ ბიოლოგიის და ბიზნესის პერსონალის მიერ შევსებული კითხვარები ხოლო აკრედიტაციის შემთხვევაში დაიხვეწებოდა კითხვარების სისტემა.

ექსპერტმა განაცხადა რომ დასკვნა ამ ეტაპზეც გახლდათ საკმაოდ მძიმე და ექსპერტები შეეცადნენ დაენახათ გამოსწორებული ელემენტები, ინტერნაციონალიზაცია ნამდვილად იყო მიღწეული, ასევე აკადემიური პერსონალი გადიოდა ტრეინინგებს, გადამზადებას, ხელი მოეწერა მემორანდუმებს თუმცა არ დაფიქსირდა გუნდური მუშაობა ვინაიდან ჩართული იყო მხოლოდ რამდენიმე ადამიანი.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა აზრებაიჯანელი სტუდენტები იყვნენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ისინი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები მობილობით გადმოსულები.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რამდენი აკადემიური პერსონალი იყო ჩართული პროგრამაში.

პროგრამაში ჩართული იყო 6 აკადემიური პერსონალი დანარჩენი მოწვეული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საიდან იყვნენ გადმოსული სტუდენტები მობილობით.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ სუხიშვილის უნივერსიტეტიდან, ჯავახიშვილიდან მოხდა მობილობით მათი გადმოსვლა.

12. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალის“ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	020307

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალიწინებულ ერთერთი დისციპლინის კერძოდ, ,,მენეჯერული აღრიცხვის“ შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტალურად ვერ მოხერხდა მისი განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის (ნოდარ გძელიშვილი, პროფესორი) შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების დადასტურება. გარდა ამისა პროგრამა ითვალისწინებდა სწავლების მესამე სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წაკითხვას პარტნიორი კენკრადეს (ჰოლანდია) ევროპის ახალი უნივერსიტეტის პერსონალის მიერ. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის ბრძანება №98/ნ ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ წესის თანახმად წარმოიშვებოდა საჭიროება, მოცემულ შემთხვევაში პარტნიორი უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებისა და ნამდვილობის დადასტურების შესახებ. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა;
- სასურველი იყო პროგრამით დამატებით შეეთავაზებინათ მარკეტინგის და ფინანსების მიმართულების რამდენიმე ძირითადი სასწავლო კურსი მაგ. (ფინანსური მენეჯმენტი, კორპორაციის ფინანსების თეორია, ინვესტიციების მართვა, მარკეტინგული კვლევა, გაყიდვების მენეჯმენტი, სარეკლამო სტრატეგიები და ა.შ.) რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამას, ასევე პროგრამა სტუდენტებს სთავაზობდა არჩევით კურსებს (6 კრედიტის მოცულობით შეთავაზებულია ორი სასწავლო კურსი), მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ პროგრამით შეთავაზებული იქნებოდა მეტი კრედიტები და არჩევითი სასწავლო კურსების უფრო ფართო სპექტრი;
- მიუხედავად, იმისა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაში ინგლისურ ენასთან დაკავშირებით იყო ჩანაწერი, რომლითაც მოითხოვებოდა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა ან ამ ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიკატი, სასურველი იყო მითითებული ყოფილიყო რომელი ან როგორი სერტიფიკატის აღიარება მოხდებოდა უნივერსიტეტის მხრიდან, შემდგომი გაუგებრობების თავიდან

ასაცილებლად, შესაბამისად ალბათ უმჯობესი იქნებოდა, თუ დაკონკრეტდებოდა რომელ სერთიფიკატს აღიარებდა დაწესებულება.

- პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სასწავლო კურსის (პროექტების მენეჯმენტი, რისკ მენეჯმენტი, ხარისხის მენეჯმენტი და ა.შ.) სილაბუსებში სტუდენტის შეფასების მეთოდები ფაქტობრივად იდენტური იყო და ისინი სრულად ვერ ითვალისწინებდნენ მისაღწევი სწავლის შედეგების სპეციფიკას. სასურველი იყო გამოყენებული შეფასების მეთოდებს მეტად გაეთვალისწინებინათ სასწავლო კურსების სპეციფიკა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ გათვლისწინებული იქნა რეკომენდაციები, კეროდ სამი რეკოემნდაცია მხოლოდ ერთისა რაზეც დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა თავისი არგუმენტაცია წერილობითი სახით და ასევე გააცნობდა მას ზეპირსიტყვიერადაც. პროგრამა გახლდათ ქართულენოვანი ინგლისური კომპონენტებით ჰოლანდიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და მესამე სემესტრში ჩამოვიდოდნენ პროფესორები და განახორციელებდნენ სწავლებას შესაბამისად რეკოემნდაცია მათი დიპლომების და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარებასთან დაკავშირებით გათვალსიწინებულ იქნა და ცენტრში აღიარებისათვის შემოტანილ იქნა დოკუმენტაცია და წარმოება იქნა დაწყებული. რაც შეეხებოდა ნოდარ გრძელიშვილთან დაკავშირებულ რეკოემნდაციას მისი კანდიდატურა პროგრამის განხორციელებაში ჩანაცვლებულ იქნა სხვა აკადემიური პერსონალით და მას წარმოადგენდა ნინო დავითაია ამის დასტურათ წარმოდგენილი ჰქონდათ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი. რაც შეეხებოდა სასურველის გრიფით მოცემულ რეკომენდაციას რომელიც შეეხებოდა ისეთ სასწავლო კურსებს რომელიც იყო ფინანსური მენეჯმენტი, კორპორაციის ფინანსური თეორია, ინვესტიციების მართვა, მარკეტინგული კვლევა და ა.შ. ყველა მოცემული საკითხი თვამოყრილი იყო კურიკულუმის სასწავლო კურსებში საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა რომ სასურველი იქნებოდა ზემოაღნიშნული საგნები ყოფილიყო დაყოფილი და გადანაწილებული ვიდრე თავმოყრილი ერთ სასწავლო კურსში.

ექსპერტმა განაცხადა რომ ვინაიდან კვალიფიკაცია ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს საერტაშორისო მენჯემენტში კარგი იქნებოდა მოცემული საგნების განცალკევება და გაძლიერება ვინაიდან თავად პროგრამა არ გახლდათ ცუდი და სასურველი იქნებოდა მენეჯმენტის ელემენტებთან ერთად ყოფილიყო მარკეტინგის საგნები უფრო კონცენტრირებული.

რაც შეეხებოდა ჰოლანდიის მხრიდან წარმოდგენილ აკადემიურ პერსონალს ექსპერტმა დაადასტურეს რომ მათ ჰქონდათ სურვილი და მოტივაცია ეთანამშრომლათ დაწესებულებასთან და ვიზიტის მიმდინარეობის დროსაც სკაიპით გასაუბრებისას მათ გამოთქვეს მზაობა თანამშრომლობაზე.

13. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობა და პოლიტიკის სამაგისტრო (ქართულ-გერმანული ერთობლივი)პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	1109

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ უკვე ხელმოწერილი იყო ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება პოტსდამის უნივერსიტეტთან, რომელთან ერთადაც უნდა გამხორციელებულიყო პროგრამა. თუმცა უფრო დეტალური დოკუმენტი, როემლშიც თანამშრომლობის და პროგრამის განხორციელების დეტალები უნდა ყოფილიყო გაწერილი ელოდებოდა ხელმოწერას. სასურველი იქნებოდა დაჩქარებულიყო პროცესი და უახლოეს მომავალში გაფორმებულიყო შესაბამისი დოკუმენტი.
- „პოლიტიკურ პიარ ტექნოლოგიების" სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მოცემული იყო ენდრიუ ჰეივუდის „პოლიტიკური იდეოლოგიები". თუმცა კურსის თემატიკაში შესაბამისი თემები საერთოდ არ იყო მოხსენიებული და სრულიად გაუგებარი იყო რაში დაჭირდა ლექტორს ამ წიგნის ხსენება. სასურველი იქნებოდა სილაბუსებში მკაფიოდ გამოჩენილიყო ზემოაღნიშნული ლიტერატურის სავალდებულო საკითხავ წყაროდ განსაზღვრის აუცილებლობა.
- რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ ითვალისწინებდა კურსს, რომელიც სტუდენტს გააცნობდა ელექტრონულ მმართველობას. ასეთი კურსი შემოთავაზებული იყო პოტსდამის უნივერსიტეტის პროგრამაში. თუ გავითავლისწინებდით რომ ელექტრონულ მმართველობას სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამებში, სასურველი იქნებოდა რობაქიძის უნივერსიტეტსაც შეეტანა ანალოგიური კურსი თავის პროგრამაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუსავებული ყველა რეკომენდაცია გახლდათ მისარები და გასათვალისწინებელი. პროგრამის ხელმძღვანელი იმ დროისთვის გახლდათ სამეცნიერი მივლინებაში პოტსდამის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრში შესაბამისად მისი ჩართულობა გახლდათ დადასტურებული სხდომაზე წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით, ასევე მათ ჰქონდათ ხელმოწერილი მემორანდუმი. რაც შეეხებოდა პიარ ტექნოლოგიებს, ლიტერატურას, ელექტრონულ მმართველობას ყველა რეკომენდაცია მიღებული იქნა და აუცილებლად მოხდებოდა მათი გათვალისწინება.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რომელ უცხო ენას მოითხოვდა პროგრამა. წარმომადგენელმა განაცხადა რომ სტუდენტი ისწავლიდა პოტსდამში ინგლისურ ენაზე, ხოლო ის ბავშვები რომლებიც არ აირჩევდნენ სწავლას პოტსდამში მათ შესთავაზებდნენ სტაჟირებას უფასოდ.

თავჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს-კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- შპს-კავკასიის უნივერსიტეტის კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამას მიენიწა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- შპს-წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0, წინააღმდეგი - 5);
- შპს-თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალის" საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით (1 წლის განმავლობაში) (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- შპს-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობა და პოლიტიკის სამაგისტრო (ქართულ-გერმანული ერთობლივი) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭო 19:05 საათზე დასრულდა.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე